BTU BUSINESS & TECHNOLOGY UNIVERSITY

BTUAI

orbit

MARTIN TRUST CENTER FOR MIT ENTREPRENEURSHIP

Spring Report

DIGITAL ECOSYSTEM DIGEST

2025

AI სექტორი საქართველოში: მიმღინარე ტენდენციები და სამომავლო პოტენციალი

შესავალი

საქართველოში ხელოვნური ინტელექტის (AI) სექტორი სწრაფად იზრდება — თვალსაჩინოა როგორც მისი ინტეგრაცია ბიზნესში, ასევე მომხმარებელთა დაინტერესება და სტარტაპთა აქტივობები. აღნიშნული ანგარიში მკითხველს სთავაზობს ფართო სურათს იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება AI სექტორი ქვეყანაში. კერძოდ, ასახავს ძირითად ტენდენციებს, ძლიერ მხარეებსა და გამოწვევებს სხვადასხვა მიმართულებით. ანგარიში დაფუძნებულია ოფიციალურ სტატისტიკაზე, კვლევის პირველად შედეგებზე, ონლაინ წყაროებსა და ინდუსტრიის წარმომადგენლებთან უშუალო კომუნიკაციაზე.

ანგარიშის პირველი ნაწილი აფასებს საქართველოს, როგორც **ქვეყნის მზაობას AI ტექნოლოგიების ათვისებისთვის** საერთაშორისო ინდექსების საფუძველზე. განიხილება სახელმწიფოს შესაძლებლობები, ციფრული ინფრასტრუქტურა და პასუხისმგებლიანი AI მმართველობა. საქართველო შედარებულია როგორც მეზობლებთან, ისე მსგავსი შემოსავლის დონის მქონე ქვეყნებთან.

მეორე ნაწილი მიმოიხილავს **გენერაციული AI ხელსაწყოების გამოყენებას** ადგილობრივ მომხმარებლებს შორის. უახლესი მონაცემების საფუძველზე აღწერილია ყველაზე პოპულარული პლატფორმები, მაგალითად ChatGPT და მომხმარებლები დაყოფილია ექვს განსხვავებულ პროფილურ ჯგუფად. ასევე, ნაჩვენებია GenAI-ის გამოყენების განსხვავებული მახასიათებლები სქესისა და ასაკის მიხედვით.

მესამე ნაწილი განიხილავს **AI-ის კავშირს დასაქმებასთან**. აქ ასახულია ყველაზე მოთხოვნადი AI პროფესიული როლები საქართველოში, როგორიცაა მანქანური სწავლების ინჟინრები, მონაცემთა მეცნიერები და AI პროდუქტის მენეჯერები. ხაზგასმულია საერთაშორისო დამსაქმებლების დომინირება ამ სფეროში, ასევე აღწერილია ის უნარები და გამოცდილება, რაც ამ პოზიციებისთვის არის საჭირო.

მეოთხე ნაწილი ავლენს, როგორ **იყენებენ ქართული კომპანიები AI ტექნოლოგიებს**, რომლის ათვისება ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა და ძირითადად კონცენტრირებულია დიდ კომპანიებსა და მარკეტინგულ მიმართულებებზე. თუმცა სხვა სექტორებიც იწყებენ ახალი AI აპლიკაციების გამოყენებას და დანერგვას.

მეხუთე ნაწილი ეხება ადგილობრივი **AI სტარტაპ ეკოსისტემის ანალიზს.** აღწერილია აქტიური სტარტაპები, მათი ბიზნესმოდელები (B2B და B2C) და მოყვანილია წარმატების მაგალითები. ასევე, განხილულია ახალი და პოპულარული იდეები AI სტარტაპის შექმნისთვის.

ბოლო ნაწილი აფასებს **AI-ის ინტეგრაციას სხვადასხვა დარგში** — ჯანდაცვაში, ფინანსებში, მედიასა და სხვაგან. წარმოდგენილია ძირითადი სირთულეები თითოეულ სექტორში, გამოყოფილია ის სფეროები, სადაც აქტივობა განსაკუთრებით ძლიერია და ასევე ის ნიშური მიმართულებები, სადაც AI-ის პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული.

ქვეყნის მზაობა AI ტრანსფორმაციისთვის

საქართველოში AI მზაობის დონე არ არის საუკეთესოთა შორის მსოფლიოში, მაგრამ მაინც კონკურენტუნარიანია ბევრ ქვეყანასთან შედარებით

სახელმწიფოს AI მზაობის ინდექსი საქართველოში:

გლობალური რეიტინგი: 81/188

ქულა: 46.9/100

საქართველოს პოზიცია 188 ქვეყანას შორის კატეგორიების მიხედვით

სამთავრობო სექტორი - 91-ე ადგილი

ტექნოლოგიური სექტორი - 81-ე ადგილი

მონაცემები და ინფრასტრუქტურა - 83-ე ადგილი

AI მზაობის ინდექსზე დაყრდნობით, საქართველო მეტ-ნაკლებად წარმატებულია.

ქვეყნის ტექნოლოგიური სექტორი ოდნავ უფრო ძლიერია სამთავრობო სექტორთან და ინფრასტრუქტურასთან შედარებით, მაგრამ სამივე მიმართულება ტოვებს პოტენციალს შემდგომი ზრდისთვის.

წყარო: Oxford Insights

ქვეყნის მზაობა AI ტრანსფორმაციისთვის

საქართველოს მზაობა AI ტრანსფორმაციისთვის, ძირითადად შეესაბამება მსგავსი შემოსავლის მქონე ქვეყნების დონეს



უფრო მაღალი შემოსავლის მქონე და განვითარებული ქვეყნები, როგორც წესი, აჩვენებენ უფრო მაღალ AI მზაობას, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. საქართველო იმ პოზიციას იკავებს, რომელიც ძირითადად შეესაბამება მისი შემოსავლის მსგავსი დონის მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.

AI მზაობის გლობალურ რეიტინგში პირველი ადგილი აშშ-ს უკავია, შემდეგ მოდის სინგაპური, სამხრეთ კორეა და საფრანგეთი.

წყარო: ავტორთა გაანგარიშებები Oxford Insights-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

ქვეყნის მზაობა AI ტრანსფორმაციისთვის

საქართველო ჯობნის მეზობელ ქვეყნებს AI მზაობით, მაგრამ მაინც ჩამორჩება აღმოსავლეთ ევროპას



საქართველო სომხეთსა და აზერბაიჯანს უსწრებს როგორც სამთავრობო შესაძლებლობების, ისე ტექნოლოგიური სექტორის AI მზაობის თვალსაზრისით.

თუმცა კვლავ ჩამორჩება აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყანებს, მათ შორის ბულგარეთსა და რუმინეთს.

წყარო: ავტორთა გაანგარიშებები Oxford Insights-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

ქვეყნის მზაობა AI ტრანსფორმაციისთვის

AI პროგრესს საქართველოში ანელებს ახალგაზრდა ტექნოლოგიური სექტორი და სუსტი ციფრული სისტემები

ქვეყანათა რა ნაწილში ხვდება საქართველოს AI მზაობა სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით?



სამთავრობო ადაპტირების უნარი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ძლიერ მხარეს AI მზაობის მიმართულებით.

თუმცა კვლავ არსებობს მრავალი სუსტი წერტილი, მათ შორის — სახელმწიფო სექტორის შეზღუდული ციფრული შესაძლებლობები და ტექნოლოგიური სექტორის დაბალი სიმწიფე.

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა ხელმისაწვდომობა არ არის მთავარი სისუსტე, ამ მონაცემების ხარისხი და რეპრეზენტატულობა მაინც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

წყარო: ავტორთა გაანგარიშებები Oxford Insights-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

ქვეყნის მზაობა AI ტრანსფორმაციისთვის

AI პასუხისმგებლობა კიდევ ერთი საკვანძო მიმართულებაა, სადაც ქვეყანას გაუმჯობესება სჭირდება

პასუხისმგებლიანი AI-ის გლობალური ინდექსი საქართველოსთვის

გლობალური რეიტინგი: 60/138

ქულა: 17.8/100

ძლიერი მხარე ← **საქართველოს პოზიცია ქვეყნებს შორის კატეგორიების მიხედვით** → სუსტი მხარე

საკანონმდებლო ჩარჩოები
საუკეთესო 29%

არასახელმწიფო სექტორი
საუკეთესო 38%

მთავრობის ქმედებები
საუკეთესო 43%

პასუხისმგებლიანი AI მმართველობა
საუკეთესო 40%

ადამიანის უფლებები და AI
საუკეთესო 51%

პასუხისმგებლიანი AI შესაძლებლობები
საუკეთესო 64%

საქართველოს პასუხისმგებლიანი AI-ის მიმართულებით გააჩნია საშუალო მაჩვენებელი. დადებითად გამოიყურება სამთავრობო ჩარჩოები, რომლებიც შედარებით უკეთ არის ჩამოყალიბებული. ასევე აღსანიშნავია არასახელმწიფო სექტორის აქტიური ჩართულობა პროცესში.

თუმცა, საჭიროა მეტი მუშაობა ადამიანის უფლებების დაცვაზე და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უნარების განვითარებაზე.

წყარო: ავტორთა გაანგარიშებები ხელოვნური ინტელექტის მართვის გლობალური ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით.

ქვეყნის მზაობა AI ტრანსფორმაციისთვის

საქართველოში AI პასუხისმგებლიანობა უფრო მაღალია ვიდრე ბევრ განვითარებად ქვეყანაში, მაგრამ ასევე ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების დონეს



საქართველოში AI პასუხისმგებლიანობა გლობალურ მედიანურ მაჩვენებელს აღემატება, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის დონეზე, რაც ქვეყანას რეგიონში კონკურენტუნარიან პოზიციაზე ამყოფებს.

AI პასუხისმგებლიანობაში, გლობალური ლიდერი ნიდერლანდებია, რომელსაც მოჰყვება გერმანია.

წყარო: ავტორთა გაანგარიშებები ხელოვნური ინტელექტის მართვის გლობალური ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით.

GENAI-ის მომხმარებლები

საქართველოში ყველაზე პოპულარული და ფართოდ გამოყენებული GenAI ინსტრუმენტი ChatGPT-ია, ხოლო Gemini და Claude შედარებით ნაკლებად გამოიყენება

რესპონდენტების (GenAI მომხმარებლების) მიერ AI ინსტრუმენტების გამოყენების მაჩვენებლები საქართველოში, 2024 წელი

ChatGPT - 93%

Gemini - 23%

Claude - 15%

Copilot - 12%

GenAI ინსტრუმენტის გამოყენება სამუშაო და არასამუშაო მიზნებისთვის საქართველოში



წყარო: BTU-ს 2024 წლის კვლევა - „GENAI ხელსაწყოების დანერგვა და გამოყენების ტენდენციები საქართველოში: რაოდენობრივი ანალიზი“. იხილეთ სრული ანგარიში **ბმულზე.**

GENAI-ის მომხმარებლები

საქართველოში GenAI-ის გამოყენების პრაქტიკა მეტად მრავალფეროვანია, ყოველდღიური ინტენსიური მომხმარებიდან შემთხვევით სარგებლობამდე

GenAI მომხმარებელთა ყველაზე გავრცელებული პროფილები (წილი ჯამურ მომხმარებლებში)

10%

შემთხვევითი მოსარგებლე
იყენებს GenAI-ს იშვიათად, კვირაში ერთხელაც არა, ძირითადად სწრაფი ინფორმაციისთვის.

9%

მიზანმიმართული სპეციალისტი
ყოველდღიურად იყენებს ერთ GenAI ინსტრუმენტს ეფექტური მუშაობისთვის.

9%

ინტენსიური მომხმარებელი
იყენებს GenAI-ს 3+ ხელსაწყოს ყოველდღიურად პროდუქტიული მუშაობისთვის.

8%

ცნობისმოყვარე მომხმარებელი
იყენებს GenAI-ს კვირაში რამდენჯერმე, ძირითადად პირადი ძიებისთვის.

7%

კომბინირებული მომხმარებელი
იყენებს ორ GenAI ინსტრუმენტს ყოველდღიურად სამუშაოსთვის.

7%

სტაბილური პროფესიონალი
იყენებს GenAI-ს კვირაში რამდენჯერმე, ერთ ხელსაწყოს სამუშაოსთვის.

ადგილობრივი GenAI-ის მომხმარებლები დავყავით ექვს განსხვავებულ ჯგუფად, მათი ჩართულობის დონისა და გამოყენების მიმართულებაზე დაყრდნობით.

წყარო: BTU-ს 2024 წლის კვლევა - „GENAI ხელსაწყოების დანერგვა და გამოყენების ტენდენციები საქართველოში: რაოდენობრივი ანალიზი“. იხილეთ სრული ანგარიში **ბმულზე.**

GENAI-ის მომხმარებლები

საქართველოში, ქალი მომხმარებლები GenAI-ის უფრო დაბალანსებულად იყენებენ, კაცებში კი ჭარბობს როგორც ინტენსიური, ასევე ზედაპირული მოხმარება

GenAI მომხმარებელთა ყველაზე გავრცელებული პროფილები საქართველოში სქესის მიხედვით



საქართველოში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკის მიხედვითაც. ახალგაზრდა მომხმარებლები უფრო ფართოდ და ექსპერიმენტულად იკვლევენ ამ ინსტრუმენტებს, მაშინ როცა უფრო გამოცდილი და ასაკოვანი მომხმარებლები მას უფრო მიზანმიმართულად იყენებენ — სამუშაოსთან დაკავშირებულ და სპეციალიზებულ საჭიროებებში.

წყარო: BTU-ს 2024 წლის კვლევა - „GENAI ხელსაწყოების დანერგვა და გამოყენების ტენდენციები საქართველოში: რაოდენობრივი ანალიზი“. იხილეთ სრული ანგარიში **ბმულზე.**

AI სამუშაო პოზიციები

საქართველოში აქტიურად ჩნდება AI-სთან დაკავშირებული სამუშაო პოზიციები, ყველაზე მაღალი მოთხოვნა მანქანური სწავლების ინჟინრებზეა

AI-სთან დაკავშირებულ ძირითად პოზიციათა ჯგუფები კონკრეტული მაგალითებით

მანქანური სწავლებისა და ხელოვნური ინტელექტის ინჟინრები, 46%

- მანქანური სწავლების ინჟინერი
- კომპიუტერული ხედვის ინჟინერი
- ML/AI გუნდის ხელმძღვანელი

მონაცემთა მეცნიერები და ხელოვნური ინტელექტის მკვლევარები, 20%

- AI მონაცემთა მეცნიერი
- NLP კონსულტანტი

ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა არქიტექტორები/ტექნიკური ლიდერები, 16%

- AI-გადაწყვეტილებების არქიტექტორი
- მონაცემთა და AI არქიტექტორი

ხელოვნური ინტელექტის პროდუქტის მენეჯერები და სტრატეგები, 11%

- AI პროდუქტის მფლობელი
- ავტომატიზაციის ინჟინერი
- სოციალური მედიის ავტომატიზაციის ინჟინერი
- AI ბიზნეს ანალიტიკოსი

ხარისხის უზრუნველყოფა, მხარდაჭერა და ტექნიკური როლები, 7%

- AI-ის ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი
- პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციური ტესტერი

მნიშვნელოვანი AI პოზიციები, რომელიც საქართველოს შრომის ბაზარზე კვლავ იშვიათია

- AI ტრენერები
- "სასაუბრო" AI-ის დიზაინერები
- AI ეთიკის სპეციალისტები
- "პრომპტ" ინჟინრები

ჩვენ გავაანალიზეთ LinkedIn-ზე გამოქვეყნებული AI-თან დაკავშირებული ვაკანსიები (2025 წლის აპრილი), რომლებიც საქართველოში მყოფ პროფესიონალებისთვის იყო განთავსებული.

LinkedIn კვლავ რჩება ქვეყანაში AI სფეროს ვაკანსიების ძირითად პლატფორმად. ამ ვაკანსიებში ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენდა არა დამატებით უნარს, არამედ სამუშაოს ძირითად მოთხოვნას.

განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებით, საქართველოში Prompt Engineering-ის პოზიციები ჯერ კიდევ იშვიათია.

AI სამუშაო პოზიციები

AI სამუშაო პოზიციები ძირითად საჭიროებს IT ცოდნას/გამოცდილებას, მაგრამ არსებობს სხვა შესაძლებლობებიც

85% **საქართველოში განთავსებული ვაკანსიებიდან მოითხოვს IT/AI სფეროებში მნიშვნელოვან განათლებას.**

სპეციალიზებული ცოდნა ტექნიკური როლებისთვის

პროგრამული ენები
(Python, Java, Go)

ღრმა სწავლების ჩარჩოები
(TensorFlow, PyTorch, Hugging Face)

ღრუბლოვანი ტექნოლოგიები
(AWS, Azure, Google Cloud knowledge)

MLOps და DevOps ცოდნა
(CI/CD pipelines, Docker, Kubernetes)

ბუნებრივი ენის დამუშავება
(NLP)

აღდგენის-გაფართოებული გენერაციის
(RAG) კონცეფციები

სპეციალიზებული ცოდნა არატექნიკური როლებისთვის

GenAI ინსტრუმენტები
(ChatGPT, Midjourney, Firefly)

სოცმედია მარკეტინგი
(Facebook Ads, Instagram Ads, TikTok Ads)

მონაცემთა წიგნიერება
(Understanding KPIs, interpreting campaign analytics)

ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია
(RPA tools, AI-assisted workflow tools)

კრეატიული სტრატეგიის შემუშავება
(Creative briefs, storytelling, branding)

ფასიანი მედიის მართვა
(Media buying, campaign optimization)

წყარო: LinkedIn-ზე განთავსებული ღია ვაკანსიების ანალიზი, 2025 წლის აპრილი.

AI სამუშაო პოზიციები

ქართველი პროფესიონალებისთვის, ვაკანსიები AI პოზიციებზე ძირითადად საერთაშორისო კომპანიების მიერ არის წარმოდგენილი

AI-თან დაკავშირებული ვაკანსიათა სტრუქტურა



ბევრი საერთაშორისო კომპანია ეძებს საქართველოში ბაზირებულ პროფესიონალებს დისტანციური, AI-სთან დაკავშირებული პოზიციებისთვის.

ადგილობრივ ეკოსისტემაში, EPAM Systems არის ყველაზე აქტიური დამსაქმებელი AI ვაკანსიების მიმართულებით.

საქართველოში AI-თან დაკავშირებულ პოზიციებზე დამქირავებელთა მაგალითები

epam

scandiweb · Space Int. · intetics · Impel · NeuronsLab

AI-ს გამოყენება ბიზნესში

AI-ის დანერგვა ქართულ ბიზნეს სექტორში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა

ფირმათა მიერ AI-ის გამოყენების სტრუქტურა საქართველოში, მიზნების მიხედვით (წილი ფირმებში, ვინც იყენებს AI-ის), 2024



ხელოვნური ინტელექტის დანერგვა საქართველოში ძირითადად შედარებით დიდ კომპანიებში ხდება და უმეტესად მარკეტინგულ ანალიტიკაზეა ფოკუსირებული.

თუმცა ზოგადი სტატისტიკა სრულ სურათს ვერ გვიჩვენებს, რადგან სხვადასხვა ინდუსტრიებს და კომპანიებს AI-ის დანერგვასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული საჭიროებები და ქცევის მოდელები გააჩნიათ

ფირმათა მიერ AI-ის გამოყენების სტრუქტურა საქართველოში, ტექნოლოგიების მიხედვით (წილი ფირმებში, ვინც იყენებს AI-ის), 2024



AI სტარტაპები

AI სტარტაპების ეკოსისტემა ბოლო ორი წლის განმავლობაში გაფართოვდა და დივერსიფიცირდა საქართველოში

AI სტარტაპთა განაწილება პირველადი ბიზნესმოდელების მიხედვით საქართველოში

B2C - 46% **B2B - 54%**

აქტიურ ადგილობრივ AI სტარტაპთა საშუალო ასაკი: 2 წელი

სტარტაპები, რომლებიც დაკავშირებული არიან საქართველოს AI ეკოსისტემასთან

Prive AI
SIZMARI
praktika.ai
OPTIX
BITERIUM•AI
EMPIRICAL
OPTIO
PROMOFY
logmind

ENAGRAM
Talkpal AI
BILIKI AI
HELP-DESK
brandergate
Helio.ai
CALEN AI
Ensofy
RADIUM

WIGGLY
DM's AI
Velin
ConsalAI
theneo
ᲙᲣᲞᲘ
Brandwise
DataMind
AdMagica

AI სტარტაპები

ზოგიერთი ქართული AI სტარტაპი სრულად არის ინტეგრირებული გლობალურ AI ეკოსისტემაში

წარმატების მაგალითები

theneo

AI-ზე დაფუძნებული პლატფორმა, რომელიც ავტომატურად ამზადებს API დოკუმენტაციას და ამარტივებს თანამშრომლობას ტექნიკურ და არატექნიკურ გუნდებს შორის. პლატფორმამ მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა, როდესაც მოიგო PITCH კონკურსი Web Summit 2022-ზე. საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის შემდეგ, კომპანია გადავიდა აშშ-ში და ამჟამად ემსახურება ათასობით კომპანიას მსოფლიოში და ხელს უწყობს მათ „დეველოპმენტის“ პროცესების გამარტივებაში.

logmind

AI-ზე დაფუძნებული პლატფორმა, რომელიც ავტომატურად აანალიზებს ლოგების მონაცემებს, ეხმარება IT გუნდებს ანომალიების დროულ აღმოჩენაში, ცრუ განგაშების შემცირებასა და სისტემური გათიშვების პრევენციაში. დაფუძნებულია ლოზანის EPFL-ის ინოვაციების პარკში, სტარტაპმა 2019 წელს მოიპოვა GITA-ს Startup Matching Grant და 2024 წლის თებერვალში წარმატებით დახურა ახალი seed-რაუნდი, რომლის ლიდერი იყო Spicehaus Partners. Logmind კვლავ შვეიცარიაში ოპერირებს, თუმცა კომპანია აქტიურად აფართოებს მომხმარებელთა სეგმენტს ევროპის მასშტაბით.

Supernova

Conversational AI-ზე დაფუძნებული პლატფორმა, რომელიც ავტოსალონებსა და მომხმარებლებს შორის კომუნიკაციის ავტომატიზაციას ახდენს ჩატის, ელფოსტისა და მესენჯერის საშუალებით. პროექტი თავდაპირველად დაფინანსდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მიერ, ხოლო მოგვიანებით კომპანიამ მოიზიდა 1.2 მილიონი დოლარის ინვესტიცია სილიკონ ველის ინვესტორებისგან აშშ-ს ბაზარზე გაფართოებისთვის. 2021 წელს ის გახდა პირველი ქართული ტექნოლოგიური სტარტაპი, რომელიც შეიძინა ამერიკულმა კომპანიამ — SpinCar-მა (დღეს Impel).

Talkpal AI

ენების შესწავლის AI პლატფორმა, რომელიც იყენებს GPT-ზე დაფუძნებულ საუბარს 50-ზე მეტ ენაზე პერსონიზირებული, ინტერაქტიული გაკვეთილების ჩასატარებლად. ქართული გუნდის მიერ დაარსებულმა სტარტაპმა სწრაფად მოიპოვა საერთაშორისო პოპულარობა მომხმარებელთა სწრაფი ზრდისა და პროდუქტის ბაზარზე ძლიერი ორიენტაციის წყალობით. საერთაშორისო ინვესტორებისა და აქსელერატორების მხარდაჭერით, ის ამჟამად გლობალურად ოპერირებს და ათასობით მომხმარებელს ეხმარება ენობრივი უნარების გაუმჯობესებაში დინამიური, რეალურ დროში ხელოვნური ინტელექტთან ურთიერთქმედების გზით.

AI სტარტაპები

მსგავსად მსხვილი ბიზნესის პრაქტიკისა, ახალ AI სტარტაპ იდეათა უმეტესობა მარკეტინგულ ინსტრუმენტებზეა ორიენტირებული

როგორი AI სტარტაპ იდეებია პოპულარული საქართველოში 2025 წელს? BTU-ს AI STARTUP პრე-აქსელერატორის მაგალითი



სტარტაპ იდეათა უმეტესობა ორიენტირებული იყო მარკეტინგული ინსტრუმენტების შექმნაზე ბიზნესისთვის ან კრეატიული შინაარსის პლატფორმებზე. შედარებით მცირეა იდეები ჯანდაცვის და ფინანსური სექტორებისთვის.

თუმცა, ეს სტარტაპ იდეები აჩვენებენ, რომ AI-ის გამოყენება საქართველოში სულ უფრო მეტად ხდება ორიენტირებული არამხოლოდ ტექნოლოგიურ სიახლეზე, არამედ პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაზე ბიზნესში, განათლებასა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

წყარო: ავტორთა გაანგარიშებები BTU AI Startup პრე-აქსელერატორზე (2025 წელი) დაყრდნობით.

AI სხვადასხვა ინდუსტრიებში

AI ტექნოლოგიების ინტეგრაცია საქართველოს ჯანდაცვის სექტორში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და ეტაპობრივად ვითარდება

ადგილობრივი სტარტაპთა მაგალითები

BITERIUM•AI

იყენებს პროგნოზულ ხელოვნურ ინტელექტს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციისთვის, აუმჯობესებს პაციენტზე ზრუნვას და ჯანდაცვის მომსახურების ეფექტიანობას.

Ensofy

შეიმუშავებს ხელოვნური ინტელექტის ხმოვან ბიომარკერებს ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთი პრობლემების აღმოსაჩენად, როგორიცაა დეპრესია,

WiGGLY

გვთავაზობს მობილურ აპლიკაციას და AI ასისტენტს, რათა ერთ ადგილას მართოთ შინაური ცხოველების მოვლის ყველა საჭიროება

ხელოვნური ინტელექტის დანერგვის გამოწვევები საქართველოს ჯანდაცვის სექტორში



- დასაქმებულთა უმეტესობას არ აქვს AI ხელსაწყოების შესახებ ღრმა ცოდნა, განსაკუთრებით კი რეგიონულ საავადმყოფოებში.
- ციფრული ჩანაწერები მიმოფანტულია ერთმანეთთან დაუკავშირებელ პლატფორმებზე, რაც მონაცემებს AI გადაწყვეტებისთვის ეროვნულ დონეზე გამოუსადეგარს ხდის.
- შეზღუდული გამოთვლითი რესურსები ხელს უშლის მოწინავე დიაგნოსტიკისა და AI-ის გამოყენებას ურბანული ცენტრების გარეთ.
- ჯანდაცვის ბაზრის სტარტაპებს გაფართოება უჭირთ, რადგან ინვესტიციები მწირი და მაღალი რისკის შემცველია.

წყარო: ავტორთა კვლევა, ონლაინ წყაროები და კომუნიკაცია ინდუსტრიის წარმომადგენლებთან.

AI სხვადასხვა ინდუსტრიებში

AI აქტიურად ერთვება საქართველოს ფინანსურ და ფინტექ სექტორებში

ფინტექ სტარტაპების მაგალითები

Prive AI

უზრუნველყოფს ხელოვნური ინტელექტის საგადასახადო დახმარებას, რაც საქართველოში ფიზიკური პირებისა და ბიზნესებისთვის სწრაფ, ხელმისაწვდომ და უსაფრთხო მხარდაჭერას წარმოადგენს.

OPtiO

ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული მომხმარებლების მონაცემთა პლატფორმა, რომელიც ეხმარება ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს მარკეტინგის პერსონალიზებაში, მომხმარებელთა ინფორმირების გაუმჯობესებასა და ჩართულობის ავტომატიზაციაში.

ძირითადი გამოწვევები



AI-ის გამოყენების შემთხვევები საბანკო საქმეში

- თაღლითობის გამოვლენა
- საკრედიტო ქულა და პერსონალიზაცია
- მომხმარებელთა მომსახურების ჩატბოტები

საბანკო და გადახდების სფეროში ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტებზე მოთხოვნა გაცილებით აღემატება მიწოდებას.

AI სხვადასხვა ინდუსტრიებში

ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციისა და მომხმარებელთან ურთიერთობისთვის, AI სულ უფრო პოპულარულ გადაწყვეტად ყალიბდება საქართველოშიც

DM's AI

ჰქმნის AI ჩატბოტებს ჭკვიანი კომუნიკაციით, ბრენდის დიზაინით და ანალიტიკით, კომპანიების ეფექტიანობისა და მომხმარებლის კმაყოფილების გასაზრდელად.

Helio.ai

AI-ის მეშვეობით ახდენს დაქირავების პროცესის ავტომატიზაციას რეზიუმეების გადარჩევით და გეიმიფიცირებული პიროვნული ტესტებით, რათა გაამარტივოს რეკრუტირება და გააუმჯობესოს კანდიდატების შერჩევა.

DataMind

ავითარებს AI-ზე დაფუძნებულ მონაცემთა პლატფორმებს, რომლებიც აერთიანებს მონაცემთა ინტეგრაციას, ანგარიშგებას და ანალიტიკას გადაწყვეტილების მიღებისა და ბიზნესის მუშაობის დაჩქარების მიზნით.

EMPIRICAL

ადგილობრივ ბიზნესს სთავაზობს AI-ზე დაფუძნებულ ავტომატიზაციისა და ანალიტიკის გადაწყვეტებს, რათა გაამარტივოს ოპერაციები, შეამციროს ხარჯები და გააუმჯობესოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი.

Velin

ახდენს ბრენდირებული კონტენტის შექმნის ავტომატიზიცას AI ვიზუალით, აღწერებითა და დაგეგმვით, რათა გაზარდოს ხილვადობა სოციალურ მედიაში.

PROMOFY

iGaming-ს და სპორტულ მედიას, სთავაზობს კოდის დაწერის გარეშე ხელმისაწვდომ AI გეიმიფიკაციის პლატფორმას მომხმარებლის ჩართულობის, შენარჩუნებისა და ლოიალობის გასაზრდელად.

Brandwise

AI-ზე დაფუძნებული მარკეტინგული პლატფორმა, რომელიც აერთიანებს და მართავს MarTech კომბინაციებს სტარტაპებისა და მცირე ბიზნესების ზრდის ხელშესაწყობად.

CALEN AI

AI-ზე დაფუძნებული ვირტუალური ასისტენტები, რომლებიც ამარტივებენ შეხვედრების დაგეგმვას და პოტენციური კლიენტების შერჩევას.

წყარო: ავტორთა კვლევა, ონლაინ წყაროები და კომუნიკაცია ინდუსტრიის წარმომადგენლებთან.

AI სხვადასხვა ინდუსტრიებში

განათლება და ჯანდაცვა საქართველოში იმ სექტორებს შორისაა სადაც AI-ის დაბალი გამოყენებაა, მაგრამ მოკლევადიანი ზემოქმედების პოტენციალი მაღალია.

ხელოვნური ინტელექტის დანერგვისა და სამომავლო პოტენციალის შეფასება საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში



შენიშვნა: დიაგრამაზე ინდუსტრიის პოზიციები ასახავს ავტორთა ანალიზს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. განლაგებები მიახლოებითია და მიზნად ისახავს მხოლოდ ზოგადი ტენდენციების ასახვას.

AI სხვადასხვა ინდუსტრიებში

დიაგნოსტიკა, ადაპტური სწავლება და საცალო ვაჭრობა საქართველოში დიდწილად გამოუყენებელი AI პოტენციალის მქონე ნიშური სფეროების მაგალითებია

AI მედიაპროექტების მაგალითები საქართველოში და მათი მოდელები

AI NEWS

ქართულენოვანი AI მედია პლატფორმა, რომელიც ქმნის, წერს და აქვეყნებს ახალ ამბებს სანდო საერთაშორისო წყაროებიდან მიღებული მასალის აგრეგირებითა და ადაპტირებით, რათა ქართული აუდიტორიისთვის გლობალური ჟურნალისტიკის სტანდარტები დანერგოს. მხარდაჭერილია JRC-ის, ART CENTER-ისა და Supernova-ს მიერ.

საერთაშორისო საინფორმაციო წყაროები (სანდო გლობალური მედია მასალები)

AI აგრეგირებს, ადაპტირებს და თარგმნის მასალას

ლოკალიზებული ქართულენოვანი საინფორმაციო სტატიები

BTUAI

AI-ით მართული ანალიტიკური პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ხელოვნურ ინტელექტსა და ადამიანურ გამოცდილებას, რათა შექმნას სექტორული ანალიტიკა და პროგნოზები გლობალურ საკითხებზე, ფოკუსირებულია საქართველოზე.

ის ქმნის მასალას ქართულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის სტატიებს, პოდკასტებს და მულტიმედიას, რაც საინტერესო რესურსს წარმოადგენს ბიზნესებისთვის და მკვლევარებისთვის.

სტატისტიკა, ფაქტები, სექტორის სპეციფიკური ინფორმაცია

AI ადამიანის ზედამხედველობით აანალიზებს, განმარტავს და ქმნის თემატურ ანალიზს

ანალიტიკური სტატიები და პოდკასტები (ქართულ და ინგლისურ ენებზე)

წყარო: ავტორთა კვლევა, ონლაინ წყაროები და კომუნიკაცია ინდუსტრიის წარმომადგენლებთან.

AI სხვადასხვა ინდუსტრიებში

დიაგნოსტიკა, ადაპტური სწავლება და საცალო ვაჭრობა საქართველოში დიდწილად გამოუყენებელი AI პოტენციალის მქონე ნიშური სფეროების მაგალითებია

AI ის დაბალი გავრცელების პერსპექტიული მიმართულებები საქართველოში

განათლება

(ადაპტური სასწავლო პლატფორმები, AI-ზე დაფუძნებული სასწავლო გეგმის პერსონალიზაცია)

ჯანდაცვა

(AI დიაგნოსტიკასა და რადიოლოგიაში, პაციენტის მონაცემთა ანალიზში)

სოფლის მეურნეობა

("precision farming", დრონების მონიტორინგი, მოსავლიანობის პროგნოზირება)

საცალო ვაჭრობა

(პერსონალიზებული რეკომენდაციათა სისტემები, ფასების მართვა)

საჯარო ადმინისტრირება

(საჯარო ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტები)

AI სხვადასხვა ინდუსტრიებში

ადგილობრივი AI ეკოსისტემის ჩამოყალიბება განათლებასა და ცოდნის გაზიარებაზეა დაფუძნებული

საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაციის (GAIA) როლი ეკოსისტემაში

ამჟამინდელი როლი

ცოდნის გავრცელება

- AI საკითხებზე ცნობიერების გაზრდა
- ცოდნის გაზიარება და პროფესიული განვითარება
- ახალი თაობის განათლება

სამომავლო როლი

ინდუსტრიის ხმა

- AI საზოგადოების წარმომადგენლობა მთავრობასთან და სხვა ინსტიტუტებთან

კონსულტაცია

- შუამავალი ბიზნესებსა და AI სერვისების მიმწოდებლებს შორის

წყარო: ავტორთა კვლევა, ონლაინ წყაროები და კომუნიკაცია ინდუსტრიის წარმომადგენლებთან.

WHAT IS DIGITAL ECOSYSTEM DIGEST?

Digital Ecosystem Digest არის ყოველკვარტალური ელექტრონული კვლევითი ანგარიში, რომელიც გამოიცემა BTU-ს მეწარმეობისა და კვლევების ცენტრების ინიციატივით.

ანგარიში მიმოიხილავს მიმდინარე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ტენდენციებს საქართველოს ციფრული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და ფარავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: AI, სტარტაპები ციფრულ ბიზნესში, ელექტრონული კომერციის ბაზრები, ციფრული პლატფორმები (B2B, B2C, C2C), ფინტექ ტექნოლოგიები და ა.შ.

ანგარიშის მიზანია როგორც არსებული ინფორმაციის კონსოლიდაცია, ასევე ახალი პრაქტიკული ცოდნის შექმნა ციფრული ეკონომიკის შესახებ.

თითოეული კვლევის ანგარიში იქნება სხვადასხვა მკვლევარის თანაავტორობით. მიმდინარე გამოცემის ავტორები არიან BTU-ს აკადემიური ასოცირებული პერსონალი ცოტნე ჟღენტი, BTU-ს დოქტორანტი ნათია ხუხუნაიშვილი და BTU-ს BA სტუდენტები ელისაბედ გუგუტიშვილი და თამარ გელაშვილი.

BTU BUSINESS & TECHNOLOGY UNIVERSITY

BTUAI

orbit

MARTIN TRUST CENTER FOR MIT ENTREPRENEURSHIP

DIGITAL ECOSYSTEM DIGEST